ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მეხუთე მოწვევის საკრებულოს

მაჟორიტარული წესით არჩეული წევრის

თენგიზ ტაბატაძის მიერ გაწეული საქმიანობის

ა ნ გ ა რ ი შ ი

2016 წელი

თანამდებობის პირი : საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკისკომისიის თავმჯდომარე;

აგრეთვე: საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის წევრი.

	სხდომათა რაოდენობა	*სხდომაზე დასწრება*
საკრებულო	22	20
ბიურო	19	18
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია	10	10
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია	18	17
გაერთიანებული სხდომა საფინანსო–საბიუჯეტოკომისიასთან	1	1
გაერთიანებული სხდომა სივრცითი–ტერიტორიულიდაგეგმარებისადაინფრასტრუქტურისკომისიასთან	4	4
გაერთიანებული სხდომა ქონებისმართვისადაბუნებრივირესურსებისსაკითხებისკომისიასთან	4	4

სადეპუტატო საქმიანობას წარვმართავ საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილი წესების შესაბამისად.

როგორც, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე, კომისიის სხდომაზე განხილულ ყველა საკითხთან დაკავშირებით კომისიის სახელით ვახორციელებდი სათანადო დასკვნების მომზადებას, შემდგომ საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განხილვის მიზნით.

რეგულარულად ვაწარმოებდი ჩემს სამაჟორიტარო ოლქში - შოთა რუსთაველის სახელობის ადმინისტრაციული ერთეულის ამომრჩევლეთან შეხვედრას. მოსახლეობის პრობლემების აღმოფხვრის მიზნით, საკრებულოსთან და მერიასთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით კი ხდებოდა ძირითადი საკითხების დადებითი გადაწყვეტა.